# სამოქალაქო ინიციატივა თანაბარი მონაწილეობისათვის

©ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი
თბილისი 2009

სამოქალაქო ინიციატივა თანასწორი მონაწილეობისთვის
პროექტის ფინალური პუბლიკაცია

ავტორი: ნათია დევდარიანი
რედაქტორები: აიდიიტ როშე, ნინო ბექიშვილი
ფოტო გარეკანზე — ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2009)

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცა საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის მიერ დაფინანსებული პროექტის "საზოგადოებრივი ნდობის ჩამოყალიბება და მარგინალური ჯგუფების თანამონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოში გამჭვირვალე არჩევნების ხელშეწყობის გზით" ფარგლებში (შემდგომში მოხსენიებული სახელით „სამოქალაქო ინიციატივა თანასწორი მონაწილეობისთვის").

პუბლიკაცია გამოიცა ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო და ის არ ასახავს ევრკავშირის შეხედულებებს.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო

ზოვრეთის ქ.38, 0160 თბილისი, საქართველო
ტ +995 32 38 04 67/68
ფ +995 32 91 28 97
ე info@boell.ge
ვ www.boell.ge

ISBN: 13 978-9941-9009-6-9
EAN: 9789941800969

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის გუნდი გულითად მადლობს უხდის ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში პროექტის „სამოქალაქო ინიციატივა თანაბარი მონაწილეობისათვის“ დაფინანსებისათვის. აღნიშნული მხარდაჭერა უაღრესად მნიშვნელოვნი იყო. პროექტი არ განხორციელდებოდა, რომ არა მიზნობრივი ჯგუფების აქტიური ჩართულობა და ფონდის მიერ მათი საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა. ჩვენ აგრეთვე მადლობას მოვახსენებთ ინდივიდუალურ მონაწილეებსა და ექსპერტებს, და ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებს, — “სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრს” და “ქალთა პოლიტიკური რესურსების ცენტრს”.



# წინასიტყვაობა

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი სამხრეთ კავკასიაში მუშაობას 2003 წელს შეუდგა. მისი მთავარი მიზანი ქვეყანაში თავისუფალი, სამართლიანი და ტოლერანტული საზოგადოების განვითარების ხელშეწყობაა. ფონდი მხარს უჭერს და ხელს უწყობს თანამშრომლობას იმ ცალკეულ პიროვნებებსა და ორგანიზაციებს შორის, ვინც, ადამიანის უფლებათა ძირეულ პრინციპებზე დაყრდნობით, საზოგადოებასა და პოლიტიკაში არადემოკრატიული და არატოლერანტული დამოკიდებულების შეცვლაზე მუშაობენ. ფონდი ხელს უწყობს ეთნო-პოლიტიკური და ტერიტორიული კონფლიქტების სამართლიან და არაძალადობრივ მოგვარებას, ქვეყნის მდგრად განვითარებას და ასევე კრიტიკულ საჯარო დებატებს, რათა გადაწყვეტილების მიღების პროცესები დემოკრატიული და გამჭვირვალე გახდეს.

ამ მიზნების გათვალისწინებით ჩვენმა გუნდმა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით წამოიწყო პროექტი „სამოქალაქო ინიციატივა თანასწორი მონაწილეობისთვის“. პროექტის უმთავრესი მიზანი იყო ქალების, ეთნიკური უმცირესობების და დევნილების პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის გზით ხელი შეეწყო დემოკრატიზაციისათვის. ამ ძალისხმევის შედეგად პოლიტიკური დებატების ხმაურში შესაძლებელი გახდა საქართველოს ამომრჩეველთა ყველაზე უფრო დაუცველი წევრების ხმების გაგონება. გარდა ამისა, მიზნობრივ ჯგუფებს საშუალება მიეცათ ხმა მიეწვდინათ ფართო საზოგადოებისათვის და გადაწყვეტილების მიმღები დაწესებულებებისათვის. ქვეყანაში, რომელიც ჯერაც იმკის 70 წლის მანძილზე არსებითად დახშული პოლი-

ტიკური სისტემის შედეგებს, მათი დახმარება, ვინც მწირად იყო წარმოდგენილი და ისტორიულადაც შევიწროებული გახლდათ, პროგრესული გზაა სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებისთვის.

მახარებს, რომ ვითარდება სამოქალაქო ინიციატივა, და განსაკუთრებით ის, რომ ევროპისა და საქართველოს ადგილობრივ გუნდებს შორის საფუძველი ეყრება საერთო საფუძვლებს. რადგან ქვეყანა კვლავაც აგრძელებს და აუმჯობესებს ინტეგრირების პროცესს ტრანსატლანტიკურ თუ ევროპულ სტრუქტურებში, პროექტის მიერ შექმნილი საფუძვლები დიდ მნიშვნელობას შეიძენს მომავლის საქართველოშიც.

მსურს, მადლობა გადავუხადო ევროკავშირის წარმომადგენლობას მხარდაჭერისთვის და იმისათვის, რომ შესაძლებლობა მოგვცა, ამ პროექტზე გვემუშავა. აგრეთვე მსურს, მადლობა მოვახსენო ჩვენ პარტნიორ ორგანიზაციებს მჭიდრო თანამშრომლობისათვის, რადგან სწორედ მათთან თანამშრომლობით გახდა შესაძლებელი უკეთესი პერსპექტივები შეგვეთავაზებინა საქართველოს მოქალაქეებისთვის.

დოქტორი ირის კემპე

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის დირექტორი
სამხრეთ კავკასიაში

# სარჩევი


| | |
|---|---|
| წინასიტყვაობა | 5 |
| შესავალი | 9 |
| პროექტის მიმოხილვა | 12 |
|     პრობლემის ანალიზი | 12 |
|     პროექტის მიზანი | 17 |
|     პროექტის შემადგენელი ნაწილები | 19 |
| რამდენიმე საველე ამბავი | 29 |
| დასკვნა | 42 |
| ბიბლიოგრაფია | 44 |
| დანართი 1: კონტაქტები | 45 |

# შესავალი

2007 წელს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდმა სამხრეთ კავკასიაში წამოიწყო სამწლიანი პროექტი „სამოქალაქო ინიციატივა თანასწორი მონაწილეობისთვის“, რითაც 2003 წლის “ვარდების რევოლუციის” შემდეგ დაწყებულ სოციალურ და პოლიტიკურ განვითარების პროცესს გამოეხმაურა. ძალაუფლების განცდა, რომელიც რევოლუციის შემდეგ საქართველოს მოქალქეებს დაეუფლათ, მალევე დაითრგუნა რეფორმებითა და პოლიტიკური არასტაბილურობით. გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა და დაწესებულებებმა მნიშვნელოვანწილად დაკარგეს ამომრჩეველთა ნდობა, რაც კარგად გამოიკვეთა 2008 წლის არჩევნების დროს, მაშინ როდესაც მთავრობა, როგორც ახალგაზრდა დემოკრატია, თავის პირველ გამოცდას დიდი წნეხის ქვეშ აბარებდა. საქართველოსთვის, ისევე როგორც გარდამავალ ეპოქაში მყოფი სხვა ნებისმიერი საზოგადოებისთვის, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ არჩევნებს, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდმა გააცნობიერა ამ მოვლენის მნიშვნელობა საქართველოს დემოკრატიულ და სტაბილურ სახელმწიფოდ განვითარებისათვის და საპასუხოდ განიზრახა, განეხორციელებინა პროექტი, რომელიც მისი შეხედულებებისა და ფასეულობების შესაბამისად, ხელს შეუწყობდა დემოკრატიზაციის პროცესებს.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი გახლავთ გერმანიის მწვანეთა პოლიტიკური მოძრაობის ნაწილი, რომელიც განვითარდა მთელ მსოფლიოში სოციალიზმის, ლიბერალიზმის და კონსერვატიზმის ტრადიციული პოლიტიკური შეხედულებების საპასუხოდ. ფონდის უმთავრესი პრინციპები ეკოლოგიის, მდგრადი განვითარების, დემოკრატიის, ადამიანთა უფლებების, თვითგამორკვევის და მართლმსაჯულების დაცვასა და წინ წამოწევას ეფუძნება. ფონდი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს გენდერულ დემოკრატიაზე, რაც სოციალურ ემანსიპაციას და მამაკაცთა და ქალთათვის თანაბარი უფლებების მინიჭებას გულისხმობს, კულტურული და ეთნიკური უმცირესობებისთვის თანაბარი უფლებების ქონაზე და იმიგრანტების სხვათა თანაბრად ჩართვაზე სოციალურ თუ პოლიტიკურ პროცესებში (ჰაინრიჰ

ბიოლის ფონდი 1997). დემოკრატიზაცია მწვანე პოლიტიკის ძირითადი პრინციპი და პოლიტიკური აღზრდის უმთავრესი საკითხია; იგი აღიქმება, როგორც სოციალურ-პოლიტიკური პროცესი, რომელიც დემოკრატიული დაწესებულებებისა და მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობით იმართება. სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკური აღზრდა დემოკრატიზაციის პროცესების ძირითად ასპექტად მიიჩნევა, რომლის შედეგად შესაძლებელი ხდება მოქალაქეთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა და პოლიტიკური აქტიურობის გაღვივება.

საქართველოში ახალი სოციალურ-პოლიტიკური გარემოს შექმნის საპასუხოდ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდმა სამხრეთ კავკასიაში პროექტის „სამოქალაქო ინიციატივა თანასწორი მონაწილეობისათვის“ უმთავრეს მიზნად დასახა მარგინალური ჯგუფებისათვის ხელმისაწვდომი გაეხადა აქტიური პოლიტიკური ცხოვრება და ხელი შეეწყო ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების გამჭვირვალობისა და ამ პროცესების მიმართ ნდობის ზრდისათვის. პროექტის მიზნობრივი ჯგუფი გახლდათ რეგიონში მცხოვრები ქალები, დევნილები და ეთნიკური უმცირესობები (კერძოდ აზერბაიჯანელები და სომხები). წარმოდგენილ პროექტს ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში „ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებებისათვის “ პროგრამის ფარგლებში.

პროექტის საქმიანობის მზარდი ეფექტურობის და მდგრადობის უზრუნველსაყოფად პროექტი ხორციელდებოდა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მომუშავე პარტნიორებთან თანამშრომლობით. გარდა ამისა, პროექტი ისე იყო დაგეგმილი, რომ ცალკეული საქმიანობები მჭიდროდ ერწყმოდა და ავსებდა ერთმანეთს რესურსების გაზიარების და ურთიერთდახმარების გზით. ამოცანები განაწილებული იყო ჰაინრიჰ ბიოლის ფონდსა და პროექტის სამ პარტნიორს შორის. “საერთაშორისო ცენტრი სამოქალაქო კულტურისათვის” ხელმძღვანელობდა ამომრჩეველთა განათლებისა და ჟურნალისტთა ტრენინგების პროგრამებს; “ქალთა კონსულტაციისა და განათლების საერთაშორისო ცენტრი” პასუხს აგებდა უნარების განვითარების პროგრამაზე, რომელიც მიზნად ისახავდა ხელი შეეწყო ქალი პოლიტიკოსების გააქტიურებისთვის; ქალთა პოლიტიკური რესურსების ცენტრს ევალებოდა პიარკამპანიის ჩატარება მარგინალური ჯგუფების წარმოსაჩენად. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი პასუხისმგებელი იყო მოეხდინა პროექტის საერთო კოორდინირება და მენეჯმენტი, და ამასთანავე განეხორციელებინა ადგილობრივ საზოგადოებაში ნდობისა და უნარების განვითარების პროგრამა.

წინამდებარე პუბლიკაცია გახლავთ პროექტის „სამოქალაქო ინიციატივა თანასწორი განვითარებისათვის“შეჯამება და შექმნილია იმისათვის, რომ მკითხველს ჩატარებული სამუშაოს ძირითადი საქმიანობა  და მათი შედეგები გააცნოს. დოკუმენტი ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი გთავაზობთ პროექტის შესავალს და წარმოგიდეგნთ ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ მის განხორციელებას. მეორე ნაწილი ასახავს პროექტის საერთო  ამოცანებს, მიზნობრივ ჯგუფებს და აჯამებს პროექტის ხუთ შემადგენელ კომპონენტს, რომელთა საშუალებითაც  პროექტი გამოწვევებს გამოეხმაურა. დოკუმენტის მესამე ნაწილი ჩატარებული ტრენინგების, სესიების, ინტერვიუებსა და სხვა მაგალითებზე დაყრდნობით  არსებულ მიღწევებსა და შედეგებს აღწერს. დასასრულს,  ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის გუნდი გიზიარებთ თავის მოსაზრებებს ზოგადად პროექტის და მისი ინიციატივების მდგრადობის  თაობაზე.

# პროექტის მიმოხილვა



ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2008): “ამომრჩეველთა განათლების პროგრამა”, მარნეული

## პრობლემის ანალიზი

2008 წლის არჩევნებამდე უკვე არსებობდა არაორაზროვანი მოთხოვნა დამატებით ინფორმაციასა და პროგრამებზე, რომლებიც აამაღლებდა საზოგადოების შეგნებას იმის თაობაზე, თუ დემოკრატიზაციასთან კავშირში რაოდენ საჭირო და მნიშვნელოვანია გამჭვირვალობა და საჯარო დებატები. ჰაინრიჰ ბიოლის გუნდმა არჩია, ჰოლისტიკურად მიდგომოდა საკითხს და ყურადღების ცენტრში მოექცია მარგინალიზებული ჯგუფები, იმისთვის, რომ სახელმწიფოს მართვის არსებული სქემები და მთავარ საერთაშორისო მხარეთა მიერ დაფინანსებული ჩარევები შეევსო.

აუცილებელი იყო, ქართველ ამომრჩეველში აღზრდილიყო დემოკრატიულ სტრუქტურებში გარკვევის უნარი და ნდობა მათ მიმართ; ეს განსა-

კუთრებით შეეხებოდა ეთნიკურ უმცირესობებს და იძულებით გადაადგილებულ პირებს, ვინც ხშირად მჭიდრო დასახლებებად ცხოვრობენ უყურადღებოდ მიტოვებულ პროვინციულ რეგიონებში. მართვაში საზოგადოებრივი მონაწილეობის მთავარი პრინციპი არ ფუნქციონირებდა, განსაკუთრებით ხსენებული ჯგუფების მიმართ. ვინაიდან დეცენტრალიზაციის პროცესი წარუმატებლად მიმდინარეობდა, რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა სულ უფრო მეტ უნდობლობას გამოხატავდა. ამიტომ, საჭირო გახდა კვალიფიცური ადგილობრივი მედია-დაწესებულებები, რათა მათ სოფლის მოსახლეობისათვის სათანადო ფორმით მიეწოდებინათ ინფორმაცია საარჩევნო პროცესების შესახებ. მცირე იყო იმ ჟურნალისტთა რაოდენობა, რომლებიც უმწეო სოციალურ ჯგუფების საჭიროებებსა და გაჭირვებას ასახავდნენ. მედია-დაწესებულებები არ განიხილებოდა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობის საშუალება სხვადასხვა დონის მმართველ რგოლებთან.

არასრულყოფილმა საარჩევნო სისტემამ, რომლის ნაკლად არა მხოლოდ ამომრჩეველთა არასრული სიები და გართულებული საარჩევნო პროცედურა შეიძლება დასახელდეს, ხალხს არჩევნებზე წასვლის სურვილი დაუკარგა. დემოკრატიული სტრუქტურების გამჭვირვალობა შეაფერხა პარტიების ბუნდოვანმა მანიფესტებმა, და ხშირ შემთხვევაში, მათმა სრულიად არქონამ ცხადყო, რომ პოლიტიკოსებს აშკარად აკლიათ პოლიტიკური ანგარიშვალდებულების გრძნობა და არ ითვალისწინებენ ამომრჩევ-



ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2008):
“ამომრჩეველთა განათლების პროგრამა”,
მარნეული



ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2008): “ამომრჩეველთა განათლების პროგრამა”, მარნეული



ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2008): “ამომრჩეველთა განათლების პროგრამა”, მარნეული

ელთა საჭიროებებს. მოქალაქეები მწირად იყვნენ ინფორმირებულნი პარტიების ხედვის თაობაზე და ამიტომ არ გააჩნდათ მყარი საფუძველი საკუთარი თვალსაზრისის ჩამოსაყალიბებლად. ამასთან, ქალებისათვის განსაკუთრებით რთული იყო ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვა. მათ უხდებოდათ დაეძლიათ არა მხოლოდ საყოველთაოდ გავრცელებული თვალსაზრისი, ქალის, როგორც საჯარო ფიგურის მიუღებლობის შესახებ, არამედ საკუთრივ პარტიებში დამკვიდრებულ პატრიარქალურ წყობასთან გამკლავებაც მოუხდათ.

ზემოთ ხსენებულ პრობლემათა პასუხად, ფონდი შეეცადა, თავისი წვლილი შეეტანა დემოკრატიზაციის პროცესში და მის განვითარებაში არსებული კონკრეტული ნაკლოვანებების გამოსწორებისთვის მიეყო ხელი. პროექტის მიზნობრივი ჯგუფი გახლდათ ქართველი ელექტორატი, კერძოდ — ქალი ამომრჩევლები, სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე მოქალაქეები და აგრეთვე დევნილები სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან. აღნიშნული ჯგუფები საქართველოს სოციუმის ყველაზე უფრო მარგინალიზირებული ნაწილია. გადაწყვეტილების მიმღებ პროცესებში მათი ჩაურთველობა აფერხებს განვითარდეს დემოკრატია, რაც ყველასთვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების შეთავაზებას გულისხმობს.

## საქართველოს სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობა

ჩვენი პროექტის ფარგლებში ყურადღება დაეთმო სომეხ და აზერბაიჯანელ მოსახლეობას, როგორც საქართველოს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს. საქართველოში ეთნიკური უმცირესობის

წარმომადგენლები ხშირად არც სხვებისგან აღიქმებიან და არც თავს აცხადებენ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად. დედაქალაქისა და სოფლის გახლეჩა, რაც თვალშისაცემია საქართველოს მთელ ცენტრალიზებულ სახელმწიფოში, სხვებთან შედარებით უფრო მეტად ჩაკეტილ სომხურ და აზერბაიჯანულ თემებში, უმცირესობის ჩაგვრად აღიქმება. სამთავრობო ინიციატივებით ხშირად ვერ ხერხდება ამ თემთა ეფექტური ინტეგრაცია, რაც იმაშიც ჩანს, რომ აღნიშნული უმცირესობანი არასათანადოდ ფლობენ ოფიციალურ სახელმწიფო ენას. ქართულ ენაში განაფულობა კი, თავის მხრივ, აუცილებელი ატრიბუტია ეროვნულ პოლიტიკაში ჩასართველად.

## აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკებიდან იძულებით გადაადგილებულ ქართველებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ ენობრივი ბარიერი, მაგრამ ისინი მაინც ხშირად დგანან საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის სიძნელეთა წინაშე. ბევრ მათგანს სურს დაბრუნება და ამიტომ, ბოლომდე არ ფუძნდება ახალ სამოსახლო ადგილზე. ისინი საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ხშირად „სტუმრებად" აღიქმებიან, სრულყოფილად არ მონაწილეობენ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამიტომაც, სათანადოდ არ არიან წარმოდგენილნი საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის პროცესებში.

## ქალი კანდიდატები და პოლიტიკოსები

ქალების წარმომადგენლობა საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში ჯერ კიდევ შორსაა იმისაგან, რომ დამაკმაყოფილებელი ვუწოდოთ; ეს დიდწილად განპირობებულია იმ ტრადიციული და დამაბრკოლებელი თვალსაზრისით, რომ ქართველი ქალის უმთავრესი როლი დიასახლისობა და დედობაა. მოუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქალებს შეუზღუდავად შეუძლიათ განათლების მიღება, გადაწყვეტილების მიმღებ რგოლებში, მათი კანდიდატურები როგორც წესი, ნაკლებად მისაღებია ხოლმე. ქართულ პოლიტიკურ სცენაზე ქალების ასეთი თვალშისაცემად დაბალი წარმომადგენლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი პოლიტიკური პარტიებისათვის დამახასიათებელი პატრიარქალური სტრუქტურაა.

ქართული პოლიტიკის საყოველთაო სენია ის, რომ პარტიებს ფაქტობრივად არ გააჩნიათ ამომრჩეველთა საჭიროებებზე გათვლილი კონკრეტული კურსი. ეს განსაკუთრებით ითქმის ქალი ამომრჩევლების მიმართ, რომელთა რაოდენობაც მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენს.

მეტიც, ქალებმა, ვინც უმნიშვნელო რაოდენობით არჩეული იქნენ მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებზე, ვერ მოახერხეს, დაეჭირათ მტკიცე პოზიცია გენდერული თანასწორობის და ქალთა საკითხებში, ნაწილობრივ იმიტომაც, რომ ამგვარი საქმიანობისათვის, შეიძლებოდა, ისინი კოლეგებსა და ფართო საზოგადოებას გაეკრიტიკებინა.



ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2009):
“სემინარი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის”,
ქუთაისი

## პროექტის მიზანი

პროექტით გათვალისწინებული ყველა საქმიანობის უმთავრესი მიზანი გახლდათ, მიგვეღო უფრო გამჭვირვალე საარჩევნო პროცესი, რომელშიც ჩართული იქნებოდნენ ქალები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები და დევნილები. ამასთან დაკავშირებით პროექტი აქეზებდა და მობილიზაციას უწევდა მათ მონაწილეობას არჩევნების პროცესში სხვადასხვა დონეზე, როგორც საპარლამენტო არჩევნებამდე, ასევე მისი მიმდინარეობის დროსაც.



ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2008): “ტრენინგები რეგიონში მცხოვრებ ქალთათვის”, წყალტუბო

განხორციელებული პროგრამების მთავარი მიზანი იყო სამოქალაქო ნდობა გაღვივება ისეთ მარგინალურ ჯგუფებში, როგორიცაა ეთნიკური უმცირესობანი, დევნილები და ქალები. ამისათვის გამოყენებული იყო ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროგრამები, საჯარო განხილვები და ამომრჩეველთა მობილიზაციაზე მიმართული მედია-კამპანიები სხვადასხვა მედია-საშუალებებში. გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება ნდობით განმსჭვალული და მოტივირებული ელექტორატის აღზრდის წინაპირობაა, ამდენად, პროექტის მიმდინარეობის მთელი დროის მანძილზე აქტიურად წახალისდებოდა კომუნიკაცია და აზრთა გაზიარება მონაწილეთა შორის; კერძოდ — ამომრჩევლებს, სამოქალაქო საზოგადოების დაინტერესებულ წევრებსა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შორის.

ამ კონტექსტში არჩევნების წინ, მისი მიმდინარეობისას და მის შემდგომ, მედია-დაფარვის ხარისხი გადამწყვეტ როლს თამაშობს. შესაბამისად, პროექტი ითვალისწინებდა ტრენინგების ჩატარებას სხვადასხვა მედია-უწყებებში ჟურნალისტური რეპორტაჟების

მომზადების თემაზე. მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად ტრენინგების მონაწილეთა შემადგენლობა მრავალფეროვანი იყო, მათ შორის იყვნენ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები და იძულებით გადაადგილე-ბული პირები.

პროექტის საქმიანობა მიმართული იყო მარგინალური ჯგუფთა საამომ-რჩევლო ძალის გაზრდისაკენ, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდათ ეთნიკურ უმცირესობებს და დევნილებს. ამ ჯგუფებიდან შეირჩა შესაფ-ერისი ადამიანები, ვისაც ჩაუტარდათ ტრენინგი ამომრჩევლის უფლებების და საარჩევნო პროცედურათა შესახებ, რათა მათ საკუთარ გარემოცვაში შეძლებოდათ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

დიდი ყურადღება დაეთმო საქართველოში არსებული იმ სპეციფიკური სიტუაციის განხილვას, რომელშიც არიან ქალები — ამომრჩევლები თუ პოლიტიკური მოღვაწეები. სხვადასხვა პარტიების წევრი ქალების დასახ-მარებლად გათვალისწინებული იყო სატრენინგო პროგრამები. ფართო საზოგადოების მიერ პოლიტიკურად აქტიური ქალების აღიარების ხელშე-საწყობად მოეწყო საჯარო განხილვები და მედია-კამპანიები. ტრენინგის კურსების და სემინარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი გახლდათ ის, რომ მათ ესწრებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა წევრი ქალ-ბატონები, სხვადასხვა რეგიონებში მომუშავე ჟურნალისტები და იურისტე-ბი, რომლებიც ერთობლივ სტრატეგიას შეიმუშავებდნენ. კურსების თემა იყო ზემოთ ხსენებული კამპანიები და საარჩევნო პროცესები, მათ შორის — პარტიის პროგრამის მომზადება და წარდგენა.

## პროექტის შემადგენელი ნაწილები

პროექტი ხუთ ძირითად ნაწილად იყო გაყოფილი; თითოეული მათგანი მიმართული იყო ერთ ცალკეულ საკითხზე, რომლებიც ერთად საერთო მიზნის მიღწევას ემსახურებოდა. თითოეულ ნაწილი ხორციელდებოდა ან რომელიმე პარტნიორი ორგანიზაციის, ან თავად ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მიერ. ქვემოთ მოკლედ არის აღწერილი თითოეულ ამ ნაწილში წარმოებული ძირითადი საქმიანობები.

### ამომრჩეველთა განათლება

ამომრჩეველთა განათლების კომპონენტი მომზადდა და განხორციელდა პარტნიორი ორგანიზაციის, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის მიერ; მან საქმიანობაში ჩართო როგორც საკუთარი თანამშრომლები, ასევე ასოცირებული ტრენერები და კონსულტანტები. თავდაპირველად



ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2007): "ამომრჩეველთა განათლების პროგრამა", ახალქალაქი

შემუშავდა კურიკულუმი ტრენერთა ტრენინგისთვის, რომელიც საარჩევნო პროცედურათა ტექნიკურ მხარეს შეეხებოდა. ტრენინგთა მოდულები შეესაბამებოდა საქართველოს სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის სპეციფიკურ საჭიროებებს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ თემებში მწირია ქართული ენის ცოდნა, ტრენინგის მასალები მათ მშობლიურ ენაზე

მომზადდა, ხოლო თავად ტრენერთა ტრენინგი რუსულ ენაზე წარიმართა. ამ კომპონენტის ფარგლებში მიზნობრივი რეგიონების - სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის 14 ადგილობრივ წარმომადგენელს (7 სომეხსა და 7 აზერბაიჯანელს) ჩაუტარდა ტრენერთა ტრენინგის კურსები თბილისში. ამ ტრენინგის მსვლელობისას მონაწილეებმა შეიძინეს ცოდნა ტრენინგის მომზადების და მისი წარმართვის ძირითადი ხერხების შესახებ; სიღრმისეულად გაერკვნენ საარჩევნო პროცედურათა სირთულეებში და მოემზადნენ იმისათვის, რომ საკუთარ რეგიონებში მოსახლეობისთივს მიეწოდებინათ ინფორმაცია ამომრჩეველთა უფლებების შესახებ. ტრენერთა ტრენინგის კურსის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებმა ჩაატარეს 60 საგანმანათლებლო/ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის სომეხ და აზერბაიჯანელ მოსახლეობასთან. ამას გარდა, უშუალოდ არჩევნების წინ ჩატარდა კიდევ 46 დამატებითი შეხვედრა.

ამომრჩეველთა განათლების კამპანიის გასაძლიერებლად ახალქალაქში, ახალციხესა და მარნეულში სამი თვის განმავლობაში არჩევნების წინ, არჩევნების დროს და შემდეგაც, მოკლე პერიოდში — მოქმედებდა ადგილობრივი საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრები. ისინი მოქალაქეებს აცნობდნენ მათ საარჩევნო უფლებებსა და მოვალეობებს და სთავაზობდნენ კონსულტაციას.

ამომრჩეველთა საგანმანათლებლო ტრენინგების და ადგილობრივი საკონსულტაციო ცენტრების მუშაობის შედეგად სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის სომეხი და აზერბაიჯანელი ამომრჩევლები უკეთ გაერკვნენ საარჩევნო პროცედურებში და ზოგადად, დემოკრატიულ პროცესებში. პროექტის ამ ნაწილის მიზანი იყო საფუძველი ჩაეყარა მომავალში ამ მიზნობრივი ჯგუფების აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებში.

## გენდერული თანასწორობა და ქალი კანდიდატების და პოლიტიკოსების შესაძლებლობათა ფორმირება

პროექტის ამ ნაწილში, რომელსაც ერთობლივად განახორციელებდა ქალთა საკონსულტაციო და განათლების საერთაშორისო ცენტრი და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, ძირითადი ყურადღება გამახვილდა ქალი კანდიდატებისა და პოლიტიკოსებისათვის უნართა ფორმირებისა და შესაძლებლობების შექმნის პროგრამაზე. მისი მიზანი იყო, სხვადასხვა გეოგრაფიული თუ ეთნიკური წარმომავლობის ქალებისათვის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცა. პროგრამა ხელს უწყობდა განხილვის თემებად ისეთი საკითხების წინ წამოწევას,

რომელიც შეეხებოდა პოლიტიკაში ქალთა რაოდენობას ადგილობრივ და ეროვნულ დონეებზე, აგრეთვე გენდერული დემოკრატიის პოლიტიკას და სტანდარტებს. ამომრჩეველთა განათლების პროგრამის დამატებით ელემენტად, ქალი ამომრჩევლების მოტივაციის გაზრდა ხდებოდა პიარ-აქციებით და ქალ კანდიდატებთან და პოლიტიკოსებთან შეხვედრების მეშვეობით. პროექტის ამ ნაწილის მიზანი გახლდათ, ქართველ ქალებში გაეჩინა შეგრძნება, რომ ისინი პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს შეადგენენ, და იმავდროულად, დაერწმუნებინათ ისინი, გამოეყ-ენებინათ საკუთარი საამომრჩევლო უფლებები. პროექტმა გარკვეული სახით შეძლო, ჩამოეყალიბებინა თანამშრომლობა ქართულ პოლიტიკურ პარტიათა შორის და სათავე დაუდო გენდერული თანასწორობის მექანიზ-მის მიღებას როგორც პარტიულ სტრუქტურებში, ასევე მათ პროგრამებში. ამავე დროს, სხვადასხვა აქტიობებმა შესძინა ქალ ამომრჩევლებს, კანდი-დატებს და პოლიტიკოსებს ცოდნა, უნარები და პოზიცია, რომ დაპირისპ-ირებოდნენ შიდა პარტიულ იერარქებს და საზოგადებრივ ცხოვრებაში სა-კუთარი ადგილი დაემკვიდრებინათ.



ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2009): "სემინარი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის", ახალციხე

## ჟურნალისტების ტრენინგის პროგრამა

ჟურნალისტების ტრენინგის პროგრამა შემუშავდა და განხორციელდა სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის მიერ, რომელმაც განხ-ორციელების პროცესში ჩართო თავისი პარტნიორი ორგანიზაცია — "კა-

ვკასიის ინსტიტუტი მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარებისათვის". პროექტის ეს ნაწილი ითვალისწინებდა კომპლექსური მედია-კამპანიის ჩატარებას, რაც ხელს შეუწყობდა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და ქალი ამომრჩევლების მონაწილეობას ქართულ პოლიტიკაში და ფართო საზოგადოებას მიზნობრივი ჯგუფების პრობლემებისა და ინტერესების შესახებ აუწყებდა. ტრენინგში მონაწილე საქართველოს სხვადასხვა



ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2007): "ჟურნალისტთა ტრენინგი", ბაკურიანი

რეგიონებში მოღვაწე ჟურნალისტები მომზადდნენ იმისათვის, რომ მათი რეპორტაჟები არჩევნების შესახებ მიზნობრივი ჯგუფების თვალით ყოფილიყო დანახული და ზოგადად მათი მიერ მომზადებული მასალა ანგარიშვალდებული ყოფილიყო გენდერთან და ეთნიკურ ურთიერთობებთან მიმართებაში. მონაწილეების მიერ მომზადებული სტატიები, რომლებიც ქალების, ეთნიკური უმცირესობებისა და დევნილების ცხოვრებას ასახავდა, ადგილობრივ გაზეთებში იქნა გამოქვეყნებული.

არჩევნების სირთულეებს მიძღვნილი ტრენინგები საგანგებოდ სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის მასმედიის წარმომადგენლებისთვის ტარდებოდა. ტრენინგის კურსი ძირითადად შეეხებოდა ისეთ თემებს, როგორიცაა:

თავისუფალი, სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების საერთაშორისო სტანდარტები; პოლიტიკური ჩართულობის სარგებელი მარგინალიზებული ჯგუფებისათვის; მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები და მოვალეობები; მედიის როლი არჩევნების პერიოდში; საარჩევნო პროცესებზე რეპორტაჟის მომზადების ძირითადი სტანდარტები; უმცირესობათა პრობლემების მედია-გაშუქების მნიშვნელობა დემოკრატიული პუბლიცისტიკის განვითარების საქმეში. სომეხი და აზერბაიჯანელი ჟურნალისტების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად კურსი ტარდებოდა როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენაზე.

რადგანაც მონაწილენი სხვადასხვა რაიონებიდან იყვნენ და განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობა ჰქონდათ, ამ ტრენინგმა საგრძნობი გავლენა მოახდინა ეთნიკური თუ გენდერული თვალსაზრისით მგრძნობიარე მასალის ხარისხზე სხვადასხვა ადგილობრივ თუ ეროვნულ მედია-გამოშვებებში.

## პიარ-კამპანია მარგინალურ ჯგუფთა წარსადგენად

პროექტის ეს ნაწილი ძირითადად მოამზადა და ორგანიზება გაუწია "ქალთა პოლიტიკური რესურსცენტრმა". მას დახმარება გაუწია ქუთაისში დაფუძნებულმა ასოცირებულმა პარტნიორმა „ჟურნალისტების დამოუკიდებელი კავშირი", აგრეთვე პოლიტიკაში მოღვაწე ქალებისა და ქალთა ორგანიზაციების ქსელმა. კამპანიის მიზანი იყო, გამჭვირვალობისა და დემოკრატიული თანამონაწილეობის იდეის ხელშეწყობა სრულიად საქართველოს მოსახლეობაში, განსაკუთრებით — ქალებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს და დევნილებს შორის. კამპანია საზოგადოებას აცნობდა მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებებს, ხელს უწყობდა მათ მონაწილეობას საარჩევნო პროცესებში და ამკვიდრებდა მარგინალურ ჯგუფებს, პოლიტიკოსებს და საზოგადოებას შორის დიალოგს.

მიზნობრივი ჯგუფების მიმდინარე პოლიტიკური პრიორიტეტების დასადგენად, აგრეთვე იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად შუქდება ხსენებული ჯგუფები ქართულ მედიაში, ჩატარდა კვლევა და მედია-ანალიზი. თორმეტი თვის განმავლობაში "ქალთა პოლიტიკური რესურსცენტრი" თვალყურს ადევნებდა ქართულ მედიას, რათა დაედგინა, თუ რამდენად იყვნენ მასში წარმოდგენილი მიზნობრივი ჯგუფები, და მედია-ანალიზის შემაჯამებელი საბოლოო დოკუმენტი შეედგინა. კამპანიის სპეციალური მასალები (პოსტერები, ბროშურები, ფლაერები, ვიდეო და რადიო კლიპები) შემუშავდა მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით და მთელ საქართველოში გავრცელდა. ეს საქმიანობა მიმართული იყო ამომრჩეველთა მობილიზაციისკენ და ცდილობდა წაექეზებინა ქალები, რათა



ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2008):
"საჯარო დებატები", ქუთაისი



ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2008):
"საჯარო დებატები", ბათუმი

ჩართულიყვნენ პოლიტიკურ პროცესებში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ქალების, სომეხ და აზერბაიჯანელ მოსახლეობის და დევნილების მიმართ.

საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში დაიწყო და მის შემდეგ მცირე ხანს გაგრძელდა რეგულარული ტელე და რადიო განხილვები. ეს განხილვები დემოკრატიულ ფასეულობებთან, სამართლიან და გამჭვირვალე არჩევნებთან, პოლიტიკურ პასუხისმგებლობასთან და მოსახლეობის ნდობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს შეეხებოდა. რიგი განხილვებისა განსაზღვრულად იყო მიმართული ეთნიკური უმცირესობების, დევნილებისა და ქალების პრობლემებისკენ. არჩევნებამდე რადიო და ტელემაუწყებლობაში გავიდა რეკლამები, რათა მიზნობრივი ჯგუფები მობილიზირებულიყო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. ამ პროგრამის ფარგლებში უპირატესობა მიენიჭა რადიოგადაცემებს, იმისათვის, რომ უკეთესად მოეცვა საქართველოს სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობა.

## ადგილობრივი თემების უნარებისა და ნდობის ფორმირება

პროექტის ნაწილი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეთა უნარების განვითარებასა და ნდობის ფორმირებას შეეხებოდა, ხორციელდებოდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი მიერ. მის ფარგლებში ეწყობოდა სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ ქალთა ტრენინგები, სემინარები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, საჯარო დებატები, დისკუსიები მრგვალი მაგიდის გარშემო, , საზაფხულო სკოლა ახალგაზრდა რეგიონალური ლიდერთათვის, საერთაშორისო კონფერენ-

ცია და ბოლოს, მთლიანი პროექტის შემაჯამებელი საბოლოო პუბლიკაცია. თითოეული ასპექტი მიმართული იყო ქალთა, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უნარების განვითარებაზე.  სასურველი შედეგის მისაღწევად შეირჩა საგანგებო რეგიონები: სამცხე-ჯავახეთი (ახალციხე და ახალქალაქი), ქვემო ქართლი (მარნეული და ბოლნისი), შიდა ქართლი (გორი), იმერეთი (ქუთაისი და წყალტუბო), აჭარა (ბათუმი) და სამეგრელო (ზუგდიდი).

ტრენინგების პირველი ციკლის შიდა ევალუაციაზე დაყრდნობით გამოვლინდა ამ რეგიონებში მცხოვრები მიზნობრივი ჯგუფების წინაშე მდგარი სპეციფიკური პრობლემები. ყოველ რეგიონს განსხვავებული სიძნელეები და საჭიროებანი აღმოაჩნდა. შედეგად მოდულები გადაეწყო იმგვარად, რომ თითოეულ რეგიონს მიეწოდებინა ტრენინგების ინდივიდუალურად შედგენილი პაკეტი, რაც მხოლოდ მოცემულ რეგიონთან დაკავშირებულ სპეციფიკურ პრობლემებზე იყო მიმართული. მაგალითად: ახალქალაქში, ახალციხეში, ბოლნისსა და წყალტუბოში სუსტად იყო განვითარებული არასამთავრობო სექტორი; აქედან გამომდინარე, ამ რაიონებში ტრენინგები არასამთავრობო ორგანიზაციათა განვითარებზე, სტრატეგიულ დაგეგმვასა და ლიდერობის საკითხებზე  იყო ფოკუსირებული. ახალციხეში, ზუგდიდში, ბათუმსა და ქუთაისში კი აქცენტი გაკეთდა სოლიდარობასა და კოალიციური მუშაობის განვითარებაზე. მოწვეული ექსპერტების მიერ შემუშავებულ იქნა სპეციალური სატრენინგო მოდულები, რომლებიც ეხებოდა ადგილობრივ თვითმმართველობაში წარმომადგენლობითობის გენდერულად დაბალანსებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსახლეობის ჩართულობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ აქტიობების პარალელურად მოწყობილმა საჯარო დებატებმა და მრგვალი მაგიდის დისკუსიებმა თავისი წვლილი შეიტანა კრიტიკული აზროვნების, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების კულტურის საფუძვლის შექმნაში.

საზაფხულო სკოლა კომპონენტის წინა აქტიობებიდან შერჩეული მონაწილეებისთვის მოეწყო. პროექტის ამ ნაწილის მიმდინარეობის მანძილზე ფონდის წარმომადგენლების მიერ შეირჩნენ მონაწილეები, რომლებიც იქნებოდნენ სამოქალაქო საზოგადოების იდეების მატარებლები და შემდგომი განმავითარებლები თავიანთ რაიონებში. შედეგად შეირჩა 15 მონაწილე ახალქალაქიდან, ახალციხიდან, ბათუმიდან, ბოლნისიდან, გორიდან, ქუთაისიდან, ზუგდიდიდან და წყალტუბოდან. საზაფხულო სკოლა რეგიონალური ლიდერებისათვის გაყოფილი იყო სამ ნაწილად, რომელთაგან ერთი ეთმობოდა პროექტის მენეჯმენტის ტრენინგს და მოიცავდა ისეთ თემებს, როგორიცაა პროექტის შედგენა, პროექტის

ლოგიკური მატრიცის შემუშავება, ბიუჯეტის შედგენა, მონიტორინგი და შეფასება. საზაფხულო სკოლის მეორე ეტაპზე მონაწილენი სწავლობდნენ, თუ როგორ უნდა მოიპოვონ ინფორმაცია და რა გზით გამოიყენონ იგი თავიანთი ორგანიზაციების საჭიროებისათვის. საზაფხულო სკოლის ბოლო ეტაპის განმავლობაში ყურადღება გამახვილებული იყო კოალიციის შექმნაზე, ლიდერობასა და ლობირების მექანიზმებზე.

პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება გახლდათ საერთაშორისო კონფერენცია "გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება საქართველოში", კონფერენციის პირველ დღეს მონაწილენი მსჯელობდნენ კანონპროექტზე გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელიც განსახილველად 2009 წელს წარედგინა პარლამენტს. კონფერენციის სამუშაო ჯგუფებში დამატებით ოთხი მნიშვნელოვანი თემა განიხილებოდა. „ქალები პოლიტიკაში" თემის განხილვისას ყურადღება იქნა გამახვილებული ქალის როლზე თანამედროვე პოლიტიკაში და საქართველოში გადაწყვეტილების მიმღებ პროცესებში ქალების მონაწილეობის შესაძლებლობებზე. თემა "ქალის როლი კონფლიქტების დარეგულირებაში" მიეძღვნა ქალის ბუნებრივ, ტრადიციულ და ისტორიულ როლს. ხოლო თემამ „ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება" დღის წესრიგში დააყენა ქვეყანაში გენდერული პრობლემების გადაჭრის აუცილებლობა, რომელიც, ერთი მხრივ,




ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2009):
"საზაფხულო სკოლა რეგიონული ლიდერებისთვის",
ბათუმი

უკავშირდება სახელმწიფოსა და ოჯახის ტრადიციულ მოდელებს, მეორე მხრივ კი იმ ახალ ტენდენციებს, რომლებიც შრომის ბაზრის წარმოქმნამ და სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში მომხდარმა ცვლილებებმა მოიტანა. დაბოლოს, სესია „ქალი და განვითარება“ მიეძღვნა ქალის მონაწილეობას განვითარების პროცესებში. აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა სამი ძირითადი პერსპექტივიდან: განათლება, ბუნებრივი რესურსები და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა.

პროექტის განხორციელებისას წარმოიქმნა გარკვეული სიძნელეები, რომელთა მიზეზითაც ზოგი აქტიობა გადავადდა, ზოგი კი გაუქმდა. ეს სირთულეები მეტწილად გამოიწვია პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, რომლის წინასწარგანჭვრეტაც შეუძლებელი იყო. 2007 წლის ნოემბერში საქართველოში დაიწყო მასიური დემონსტრაციები, ამას მოყვა პრეზიდენტის განცხადება გადადგომის შესახებ და დაინიშნა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, რაც დანიშნულ ვადაზე, ანუ 2008 წლის მაისზე 5 თვით ადრე ჩატარდა (ჩივერსი 2009). ეს გარემოება განსაკუთრებით აისახა ამომრჩეველთა განათლების კომპონენტზე. პოლიტიკურმა არასტაბილურობამ კულმინაციას რთულ წინასაარჩევნო პერიოდში მიაღწია, რამაც ქალი კანდიდატების და პოლიტიკოსების დაწინაურებისათვის გათვლილი აქტიობები შეუსაბამო გახადა. ეს აქტიობები დამუშავდა და აქცენტი გენდე-



ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2009):
“საერთაშორისო კონფერენცია”,
თბილისი

რულ თანასწორობაზე და თანაბარ მონაწილეობაზე დაისვა. მოგვიანებით, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომმა აგვისტო-ოქტომბერში დაგეგმილი თითქმის ყველა საქმიანობა შეაჩერა და ამან პროექტის თავდაპირველი ვადები 4 თვით გაზარდა. მიუხედავად ამისა, ფინანსების წინდახედულმა მართვამ და გლობალური კრიზისით გამოწვეულმა ფასების კლებამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი თემის უნარებისა და ნდობის ფორმირების კომპონენტში განხორციელებულიყო ისეთი დამატებითი აქტიობები, როგორიცაა საზაფხულო სკოლა.

# რამდენიმე საველე ამბავი




ჯერ კიდევ ცოტა დროა გასული საიმისოდ, რომ პროექტის შედეგებზე ვისაუბროთ, მაგრამ უკვე შეიძლება აღვნიშნოთ რამდენიმე მიღწევა, რომელიც პროექტის მსვლელობისას წარმოჩინდა. ქვემოთ წარმოგიდგენთ იმ რამდენიმე აღმოჩენასა და მიღწევას, რომელიც პროექტ „სამოქალაქო ინიციატივა თანასწორი მონაწილეობისთვის" ფარგლებში განხორციელდა.

პროექტის ერთი ნაწილი იმ ჟურნალისტების მომზადებას ითვალისწინებდა, ვინც არჩევნებს ქალების, ეთნიკური უმცირესობის და დევნილების თვალთახედვით გააშუქებდა, და ამას გარდა, მოამზადებდა არჩევნებისას ამ ჯგუფების წინაშე მდგარი პრობლემების ზოგად ანალიზს. პროექტი მიზანად ისახავდა განსხვავებულ ჯგუფთა იდეების წარმოჩენის და მათ

პრობლემათა სხვადასხვა პერსპექტივაში განხილვის გზით თავისი წვლილი შეეტანა კრიტიკული აზროვნების და მოქალაქეთა საჯარო გამოხატვის კულტურის განვითარებაში. ჟურნალისტების ტრენინგის სესიის მსვლელობისას შეიქმნა რამდენიმე სტატია, რომლებიც ხაზს უსვამდნენ გენდერულ, დევნილებისა და ეთნიკური უმცირესობის სიძნელეებს ამ მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენელთა და მოცემული რეგიონების სხვა მცხოვრებთა პერსპექტივიდან. ამ პუბლიკაციებმა, განსაკუთრებით — რეგიონებში, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხი გაზარდა.

ჟურნალისტთა სატრენინგო სესიების შემდეგ დაიბეჭდა სტატები, რომელებიც დევნილების, ეთნიკურ უმცირესობათა და რეგიონის სხვა მოქალაქეთა პრობლემებს ამავე მიზნობრივი ჯგუფების თვალთახედვიდან აშუქებდა. ამ პუბლიკაციების შედეგად საზოგადოება, მით უფრო, რეგიონებში, უფრო მეტად გათვითცნობიერებული გახდა ზემოთ აღნიშნულ საკითხებში.

> /.../
> ნათია, 16 წლის: ხშირია გენდერული უთანასწორობა. თუნდაც, ჩვენი რაიონის მაგალითზე ავიღოთ: აქ არის გასართობი საშუალებები, კომპიუტერული თამაშები, რომელსაც მარტო ბიჭები თამაშობენ. გოგონებსაც გვაქვს გართობის უფლება.
> თაკო, 14 წლის: გენდერული ბარიერი შემხვედრია. მაგალითად, როცა ბანაკებში დავდიოდი, იქ აქტივობებში მეტი პრიორიტეტი ბიჭებს ენიჭებოდა.
> ზოია, 58 წლის: როცა ღმერთმა ქალი და მამაკაცი შექმნა, კაცს მიანიჭა უპირატესობა, რომელიც პასუხისმგებლობასა და მზრუნველობას ითვალისწინებს. ვერანაირი გენდერული თანასწორობა ვერ შეცვლის ამ ტრადიციას. მიუხედავად იმისა, რომ ქალი ვარ, ჩემი აზრით, მამაკაცს მეტი უფლებები უნდა ჰქონდეს.
> თენგო, 30 წლის: გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს ფემინიზმს. ის საზღვარი, რომელიც სათუთია, ქალმა სწორად უნდა გაიაროს. მართალია, ქალი და მამაკაცი თანასწორი უნდა იყოს, მაგრამ ვითარებას გააჩნია, ყველაფერში ასე არ იქნება.

სტატია 1: *ტრაპაიძე (2008): "ქალი და მამაკაცი ერთნაირი უფლებებით უნდა სარგებლობდნენ", "გურია - NEWS"*

განსაკუთრებით საინტერესო იყო 2008 წელს რეგიონალურ გაზეთ "გურია - News"-ში გამოქვეყნებული ქეთი ტრაპაიძის სტატია. მან განიხილა გენდ-

ერული უთანასწორობის საკითხები და ასევე, სხვადასხვა ქვეყნების მიერ იმპლემენტირებული ინიციატივები  ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობის მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინიციატივებს მხარს უჭერს საზოგადოება, პრობლემა კვლავაც გადაუჭრელი რჩება. ამასთანავე, მოქალაქეების მიერ ამ საკითხების აღქმა და მათთან დამოკიდებულება საკმაოდ არათანაბარია და სხვადასხვა ასაკობროვ ჯგუფებში განსხვავებულია.  ავტორმა გამოკითხა შიდა ქართლის მცხოვრებლები იმ მიზნით, რათა დაედგინა, მათი აზრით, უნდა სარგებლობდნენ თუ არა ქალები და მამაკაცები თანაბარი უფლებებით. გამოკითხვებმა აჩვენა ის, რომ, ზოგადად, კონსენსუსია ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ამასთანავე  გენდერული უთანასწორობის ის მაგალითებიც წარმოგვიდგინა, რომელებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება. განსაკუთრებით საინტერესო იყო 14 წლის თაკოს პასუხი, რომელიც აცხადებდა, რომ პატრიოტულ ბანაკში თამაშები უფრო მეტად ბიჭებზეა ორიენტირებული (იხ. სტატია 1). თინეიჯერის ეს საყურადღებო შენიშვნა შეშფოთებას იწვევს, რადგან ბანაკებში დაუფიქრებლად დაგეგმილი აქტიობები გენდერულ უთანასწორობას ადრეულ ასაკშივე ნერგავს და გოგონათა დისკრიმინაციას ახდენს.

2008 წელს გაზეთ “კახეთის ხმაში” ადგილობრივი რესპონდენტების გამოკითხვის შედეგად ქართველი და ევროპელი ქალები ერთმანეთს შეადარეს. რესპონდენტებს ეკითხებოდნენ, რითი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ქართველი და ევროპელი ქალები. მოპასუხეთა აზრით, კულტურული ტრადიციები ზღუდავს ქართველი ქალის თავისუფლებას, მაშინ როდესაც ევროპელი ქალები სრული თავისუფლებით სარგებლობენ. ამასთანავე, მათი თქმით, თავისუფლების ხარისხზე განსხვავებული საცხოვრებელი პირობებიც ახდენს გავლენას. ქართველ ქალს ხშირად ისეთ რთულ პირობებში უწევს ცხოვრება, რაზედაც ევროპელ ქალს წარმოდგენაც კი არა აქვს. თუმცა, მრავალი განსხვავების მიუხედავად,  ქართველი ქალები თვლიან, რომ რამდენიმე ევროპული ჩვეულება მისაღებია ქართული საზოგადოებისთვის და საჭიროა ჩვენს ქვეყანაშიც დამკვიდრდეს.
მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, თუ მთავრობაში ქალთა წარმომადგენლობა გაიზრდება, ქალთა ინტერესებს უფრო მეტი ყურადღება მიექცევა. პროექტის „სამოქალაქო ინიციატივა თანასწორი მონაწილეობისთვის“ ერთ-ერთი კომპონენტი ამ თვალსაზრით მუშაობას გულისხმობდა, ეს საკითხი პროექტის ფარგლებში ჟურნალისტებთან ტრენინგის დროსაც განიხილეს. სატრეინინგო პროგრამაში ჩართულმა ზუგდიდელმა ჟურნალისტმა გამოაქვეყნა სტატია პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის შესახებ; კერძოდ კი, ქალთა ჩართულობაზე ზუგდიდის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქალთა ბრძოლა ხმის უფლებისთვის, როგორც ვიცით, საუკუნეებია რაც

გრძელდება — ის დასაბამს 1600 წელს იღებს. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ქვეყანათა 95%-მა აღიარა არჩევნებში ქალთა ხმის მიცემის უფლებები (დამენია, 2008:5), მაგრამ ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში და მათი წარმომადგენლობა აღმასრულებელ, საკანონმდებლო, თუ სასამართლო შტოებში კვლავ საკმაოდ მცირეა. ზუგდიდში ქალთა როლზე პოლიტიკაში აზრის გამოხატვა სთხოვეს ადგილობრივ და დევნილ მოსახლეობას. უმრავლეს შემთხვევაში, ხალხი საკმაოდ არგუმენტირებულად უჭერდა მხარს მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა მონაწილეობას პოლიტიკაში. თუმცა, ამასთანავე, გამოკითხულთა შედარებით მცირე ნაწილი თვლიდა, რომ “პოლიტიკაში ქალი საჭირო არ არის” (იხ. სტატია 2).

> მონიკა სიჭინავა: /.../ წავიდა ის დრო, როცა ქალი მხოლოდ დიასახლისი უნდა ყოფილიყო. მთავარია, იყო ძლიერი ადამიანი და წარმატებული ქვეყნის შვილი, სქესს მნიშვნელობა არა აქვს. /.../
> ემზარ ლომაია, დევნილი: /.../ ქვეყნის სამსახურში ქალიც და კაციც უნდა იყოს, რადგან ეს საკითხი ორივე მხარეს თანაბრად ეხება.
> ია ალფენიძე, დევნილი: /.../ დღეს აუცილებელია ქალის ყოფნა პოლიტიკაში, რადგან ქალმა კარგად იცის ოჯახის მართვა და სახელმწიფოც ხომ ერთი დიდი ოჯახია. /.../
> ლიანა საყვარელიძე ყველაზე ცუდი ის არის, რომ ქალები ჩაერივნენ პოლიტიკაში. პოლიტიკაში ქალი საჭირო არ არის.
> სვეტა ოტაჩინა: /.../ ქალის ყოფნა პოლიტიკაში სტიმულია და ეს სახელმწიფოს წინ წასწევს, რადგან ის არის ქვეყანა, სადაც ყველაფერი თანაბარ ძალებზეა დამოკიდებული. /.../

სტატია 2: *დამენია (2008): “სასურველია მეტი ქალი მოვიდეს პოლიტიკაში”, “სამეგრელოს ქრონიკა”*

რეგიონალურმა ბეჭდვითმა მედიამ დაიწყო იმ საკითხების განხილვაც, რომლებიც დევნილთა საარჩევნო მოლოდინებს შეეხებოდა. ერთ-ერთი სტატია ამ საკითხებს ინტერვიუების გზით იკვლევდა. სტატიაში გამოიკვეთა, რომ დევნილები შეშფოთებას გამოხატავენ იმის გამო, რომ საქართველოს პარლამენტში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაჟორიტარ დეპუტატებს არ ირჩევენ. ისინი ფიქრობენ, რომ საჭიროა პარლამენტში დევნილთა წარმომადგენლობა, რათა მათი ინტერესები უფრო მეტად იყოს დაცული (იხ. სტატია 3).

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა კიდევ ერთ არჩევნებს ხვდება დაპირებებით. მათ უკვე ზეპირად იციან, რომ ყველა პარტიის საარჩევნო პროგრამაში გამორჩეული ადგილი უჭირავთ, რომ მთავარია, ვინმე აირჩიონ და, ყველაფერი ერთად თუ არ მოგვარდება, ეტაპობრივად აუცილებლად აღმოფხვრიან პრობლემებს, ეს საუკეთესო ვარიანტია, რადგან რამდენიმე წლის წინათ მათ უფლებაც კი არ ჰქონდათ არჩევანის გაკეთებისა. კანონმდებლობა მათ ამჯერადაც ჩაგრავს, 75 მაჟორიტარს შორის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს წარმომადგენლები არ იქნებიან. /.../

თამარ გუჩუა, 23 წლის: მომავალი პარლამენტისგან ველოდები იმას, რომ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. ანუ საიმედო პროგნოზს ნამდვილად ვერ გავაკეთებ. მითუმეტეს, ახლა, როცა მაჟორიტარი დეპუტატი აფხაზეთის წარმომადგენლობას არ ეყოლება. /.../

ელისო ხაბურზანია, 46 წლის: მოველი, რომ ამჯერად მაინც გააქტიურდებიან დევნილების პრობლემის მოსაგვარებლად, რომ საყოფაცხოვრებო პრობლემები მაინც მოგვარდეს, ცხოვრების უფრო კარგი პირობები გვქონდეს. /.../

ლალი შამათავა, 43 წლის: ბოლო პერიოდი დიდ ცვლილებებს არ გვთავაზობს, მაგრამ მაინც განწყობილი ხარ, რომ რაღაც შეიცვალოს და შეიცვალოს სასიკეთოდ. ადამიანები თვითონ უნდა ვეცადოთ, რომ ეს ცვლილებები მოხდეს. ვერ ვხედავ, რომ დღეს პრიორიტეტი აფხაზეთია, მაგრამ, იმედია, ხელისუფლება და არჩეული პარლამენტი გაიგებენ დევნილების პრობლემებს და შემობრუნდებიან ჩვენკენ.

ხათუნა გოგუა, 35 წლის: დევნილებს არჩევნებთან დაკავშირებით ამოვარდნის პერიოდიც გვქონდა, რადგან არჩევნებში ვერ ვმონაწილეობდით, საკანონმდებლო ბაზა არ არსებობდა ამისთვის. მადლობა ღმერთს, ხელისუფლება მიხვდა, რომ ეს იყო დანაშაული და უკვე რამდენიმე არჩევნებია, ჩვენ ვიღებთ მონაწილეობას. /.../ ვერ ვიტყვი, რომ ამ არჩევნებიდან რამეს ველოდები, მაგრამ მსურს, ასე მაინც დადგეს საკითხი, ჩვენი წარმომადგენელი პარლამენტში გვყავდეს, რომ ის ადამიანი პირდაპირ გრძნობდეს ვალდებულებას დევნილების წინაშე. ეს არ ნიშნავს, რომ აფხაზეთში ერთ ან ორ წელში დავბრუნდებით, ყველა დევნილს აქვს უფლება, იცხოვროს ადამიანურ პირობებში, და ეს პირობები მაინც შეგვიქმნან. ეს უკვე ვალდებულებაა და ხელისუფლებამ უნდა აიღოს ეს ვალდებულება საკუთარ თავზე, რათა სოციალურ პრობლემებზე მაინც გააკეთოს აქცენტი. მე, როგორც დევნილს, წარმომადგენელი უნდა მყავდეს პარლამენტში, რომ ჩემი პრობლემები მივაწვდინო. /.../

სტატია 3: *ჩინიჟიშვილი (2008): "დევნილთა მოლოდინი არჩევნებიდან არჩევნებამდე"; 'პოსტსკრიპტუმი'*

პროექტმა „სამოქალაქო ინიციატივა თანასწორი მონაწილეობისთვის“ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა იმ სტატიების მომზადებას, რომლებიც დევნილთა არჩევნებში მონაწილეობის პრობლემებს ეხებოდა. ამის შედეგად, ყურადღება იქნა გამახვილებული დევნილთა მოთხოვნებზე და ასევე მოქალქეთა ამ ჯგუფის ზოგად ინეტერესებზე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებასთან დაკავშირებით. რამდენიმე რესპოდენტის მიერ აღინიშნა ისიც, რომ მათ არჩევნებში ხმის მიცემის უფლება საცხოვრებელი მისამართის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემების გამო დაკარგეს. 1990-იანი წლების კონფლიქტისა და მის შემდგომ პერიოდში დევნილთა უმრავლესობა ჩასახლებულ იქნა კონფლიქტური ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე. დროებითი საცხოვრებელი ადგილი რეგისტრაციის საფუძველი გახდა. მაგრამ, დროთა განმავლობაში ბევრმა დევნილმა სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების გამო დატოვა დროებითი საცხოვრებელი და სხვაგან გადასახლდა, მაგრამ ისევ პირველადი ჩასახლების ადგილას დარჩა რეგისტრირებული. სწორედ რეგისტრაციასთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემების გამო, დევნილების ნაწილს არჩევნებში მონაწილეობის უფლება შეეზღუდა (იხ. სტატია 4).

> /…/
> აფხაზეთის საბედისწერო მოვლენებმა აიძულა ლეილა, ჩვილ შვილთან ერთად დაეტოვებინა სოხუმი, დროებით გალში, შემდეგ ცხოროწყუში ცხოვრობდა. ბოლოს კი ოჯახი რუსთავში გადმოვიდა საცხოვრებლად. /…/
>
> ლეილა ჭაავა: – ლტოლვილის სტატუსით ცხოვრება მტკივნეულია, ყოველწუთს გვახსოვს ის ტრაგედია, რაც გადავიტანეთ. თუნდაც ის ფაქტი, რომ არჩევნებში ვერ ვიღებთ მონაწილეობას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩემს სოფელში ლეისიწჭინეში ვარ ჩაწერილი, იქ გამგზავრება ჭირს სიშორის გამო. როდესაც არჩევენბში მონაწილეობა მოვინდომე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, უარი მითხრეს. ასეთივე სიტუაციაში აღმოჩნდა ჩემი მეუღლე. 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მივიღეთ მონაწილეობა. წელს კი ვერც საპრეზიდენტო და ვერც საპარლამენტო არჩევნებში ვერ მივეცით ხმა.
> /…/

სტატია 4: *ყარალაშვილი (2008): “ლტოლვილთა გარკვეულმა ნაწილმა არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღო”, “ახალი რუსთავი”,*

საქართველოს მოქალაქეებს შორის არჩევნებში მონაწილეობის დროს სირთულეებს მარტო იძულებით გადაადგილებული პირები არ აწყდებიან. ეთნიკური უმცირესობები საქართველოს რამდენიმე რეგიონში ხშირად უფრო

დიდი პრობლემების წინაშეც კი დგანან. ისინი გარიყულნი არიან საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებიდან  და, ამავე დროს, სახელმწიფოსაგან ვერ იღებენ ძირითად სოციალურ დახმარებას.

აღნიშნულ თემაზე სტატია განიხილეს პროექტ „სამოქალაქო ინიციატივა თანასწორი მონაწილეობისთვის“ მედია ანალიზის დოკუმენტშიც, რომელიც საერთაშორისო კონფერენციის “გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება საქართველოში” მსვლელობის დროს გავრცელდა. კონ-



ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2008):
“ამომრჩეველთა განათლების
პროგრამა”, ახალქალაქი

ფერენციის მონაწილეებმა სოფელ იორმუღანლოს მკვიდრთა პრობლემები შეაფასეს, როგორც შემაშფოთებელი  და ერთმანეთს მოუწოდეს, დახმარებოდნენ ამ სოფელში მცხოვრებ უმცირესობის წარმომადგენლებს. იორმუღანლო საგარეჯოს რაიონში მდებარეობს და იქ 21 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ეს სოფელი კახეთში ეთნიკური აზერბაიჯანლების ყველაზე დიდი და მჭიდრო დასახლებაა. აქ 800-მდე სასკოლო და ამდენივე სკოლამდელი ასაკის ბავშვია, მაგრამ ამ  დასახლებას ჯერ კიდევ არ აქვს საბავშვო ბაღები. სკოლა პატარაა და ყველა მოსწავლეს ვერ იტევს. მაგრამ ყველაზე შემაშფოთებელი ისაა, რომ იორმუღანლოს მოსახლეთა უმრავლესობა ოფიციალურად არც კი დაბადებულა, არ გაუვლიათ რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, არ არსებობენ ოფიციალურ სტატისტიკაში და არც დაბადების მოწმობები აქვთ, ამიტომაც, არ შეუძლიათ საგანმანათლებლო პროგრამებით სარგებლობა (იხ. სტატია 5). ამ ბავშვების სამოქალაქო აქტიურობა, განსაკუთრებით კი ხმის მიცემის უფლებები, გაურკვეველია,  რადგან დაბადების მოწმობის არქონა პირადობის მოწმობის არქონას ნიშნავს, ამის გარეშე კი, ცხადია, შეუძლებელია არჩევნებში მონაწილეობა.

ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელ იორმუღანლოში ქართული ბაღის გახსნას იმ პატარებისთვის ითხოვენ, რომლებიც ოფიციალურად არც კი დაბადებულან./.../

მეტრიკის გაცემაზე უარი მითხრეს, რადგან ბავშვი სამშობიაროში არ გაჩენილა. აბა სამშობიაროში როგორ გაჩნდებოდა, ფერმაში ვიყავით. იქ ვინ ჩამოვიდოდა?! მეორეც ექიმს ბებია ქალი მირჩევნია. /.../ მინდოდა შვილებს სკოლაში ევლოთ და ქართული ესწავლათ. ვფიქრობდი, განათლებას მიიღებენ, წარმატებული ადამიანები გამოვლენ-თქო. გოგოს ბევრი სწავლა არ უნდა, უბრალოდ წერა კითხვა მინდა ისწავლოს, მერე უნდა დავნიშნოთ და გათხოვდეს. აი, ბიჭს კი მინდოდა კარგად ესწავლა, მაგრამ მითხრეს – ადვოკატს ორას ორმოცდაათი ლარიო, მერე სასამართლოს ბაჟიო. წყალში ფულის გადაყრაა და სხვა არაფერი. ბავშვი ხომ არსებობს, ამას რა მოწმეები და ადვოკატი უნდა?!-ბრაზობს აიდანი. /.../

ქართულის პედაგოგებს ბავშვების მშობლიური ენა არ ესმით და ქართულსაც ამიტომ ვერ ასწავლიან. ჩვენი ენის მცოდნე სპეციალისტებია საჭირო და აუცილებელია სოფელში ქართული ბაღიც გაიხსნას, ეს საქმეს ნამდვილად უშველის, – ფიქრობს სოფლის უხუცესი ჯავათ ამირასლანოვი და მას სოფლის ცენტრში შეკრებილი სხვა ადგილობრივებიც ეთანხმებიან. /.../

სტატია 5: *ჭაბაშვილი (2008): "უმოწმობოდ დაბადებულნი", "24 საათი"*

პროექტის „სამოქალაქო ინიციატივა თანასწორი მონაწილეობის" იმ წამოწყებათა მიუხედავად, რომელიც ხელს უწყობდა მედიაში ქალების, დევნილებისა და ეთნიკური უმცირესობის საკითხთა წინ წამოწევას, მედია-ანალიზმა ცხადყო, რომ ჩატარებული სამუშაო საკმარისი არ არის (ქალთა პოლიტიკური რესურსცენტრი 2008). სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები ძირითადად მხოლოდ ადგილობრივ მედიაში შუქდება. რაც ნიშნავს, რომ ეს პრობლემები საქართველოს სხვა რაიონებამდე ვერ აღწევს. დედაქალაქში, სადაც თავმოყრილია პოლიტიკოსთა და გადაწყვეტილების მიმღებთა უმრავლესობა, ისევე, როგორც რეგიონებში, არაფერი იციან თავიანი თანამოქალაქეების რეალური პრობლემების და შეხედულებების შესახებ. ინფორმაციის სიმწირე გამოიხატება არაადეკვატურ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და მარგინალიზირებული ჯგუფების უგულვებელყოფაში. პროექტმა თავისი წვლილი ჩადო ამ სიძნელეების გამოსწორების საქმეში, მაგრამ იმისათვის, რომ პრობლემა ქვეყნის მასშტაბით გადაიჭრას, მსგავსი ინიციატივები კვლავ უნდა გაგრძელდეს.

როგორც პროექტის აღწერისას აღინიშნა, „ამომრჩევლის განათლების"

პროგრამა შემეცნებით კამპანიას ეწეოდა სოფლებში არჩევნების მნიშვნელობის და პროცედურების შესახებ. ამ ნაწილის შესრულებისას ტრენერთა ტრენინგების მონაწილეები და რეგიონალური საინფორმაციო და საკონსულტაციო გაერთიანებების კოორდინატორები დახმარებას უწევდნენ ქართველ ამომრჩევლებს. ამომრჩევლის პროგრამის შედეგების შეფასება რთულია, მაგრამ შეხვედრების დროს გამოვლენილი რამდენიმე შემთხვევა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. როგორც წინასწარ იყო ნავარაუდევი, ამომრჩეველი არასაკმარისად იყო გაცნობიერებული ამომრჩევლის უფლებებში და არჩევნების დღის პროცედურებში. მონაწილეთა უმრავლესობას აფიქრებდა მათი არჩევანის კონფედინციალურობა და ხშირად სვამდნენ შემდეგ კითხვებს: „შეგვიძლია, საიდუმლოდ დავტოვოთ ჩვენი არჩევანი?" „კამერა ხომ არ აფიქსირებს ჩვენს არჩევანს?" „ხომ არ დავჯარიმდებით, არჩევნებში მონაწილეობა რომ არ მივიღოთ?" და ა.შ. ამ საფრთხის შიშით ზოგმა მონაწილემ უარი თქვა პროგრამაში ფორმალურ რეგისტრირებაზე და ფოტოგრაფს სურათის გადაღების ნება არ დართო (სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი 2009:5). პროექტზე მომუშავე ჯგუფმა ეთიკური მოსაზრებით დაფარა ამ მონაწილეთა ვინაობა და მაქსიმალურად ეცადა გაეთვალიწინებინა მონაწილეთა თხოვნები. იმავე ეთიკური მოსაზრებებით თავდაპირველად განზრახული 3-4 საათიანი შეხვედრები 3 საათამდე შეიკვეცა, რაც მონაწილეთა საჭიროებებზე მორგების მიზნით გაკეთდა. ასეთ შემთხვევებში მოდულები ფოკუსირებული იყო ძირითადად იმ საკითხებზე, რაც მონაწილეთა უმთავრესი ინტერესის საგანს წარმოადგენდა. იყო შემთხვევა, როდესაც შეხვედრაზე მოსულ ქალბატონს ხელები ცომით ჰქონდა გასვრილი, შინ პურს აცხობდა და რადგანაც ტრენინგზე აგვიანდებოდა, შუა გზაში მიატოვა საქმე, მაგრამ მერე, მთელი შეხვედრის განმავლობაში წუხდა, რომ მომდევნო კვირის სამყოფი პური გამოცხობა ვერ მოახერხა (მამედოვა 2009). მონაწილეთა მხრიდან ტრენინგებისთვის ასეთ მნიშვნელობის მინიჭება წამახალისებელი იყო პროექტზე მომუშავე გუნდისთვის, მაგრამ, ამავე დროს, ისინი ფრთხილობდნენ დისონანსი არ შეეტანათ მონაწილეთა ყოველდღიური ცხოვრებაში.

ამომრჩეველთა განათლების პროგრამის შეფასებისას, ტრენერებთან და რეგიონალურ კოორდინატორებთან შეხვედრებზე გამოიკვეთა, რომ მხოლოდ ხანგრძლივი დაკვირვების შედეგადაა შესაძლებელი, შეფასდეს მონაწილეთა უნარი, შეითვისონ პროექტის ამ ნაწილით მიწოდებული ინფორმაცია და უფრო მეტად ჩაერთონ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა, პროგრამის ტრენერების ანგარიშებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს შეხვედრები დაეხმარა მონაწილეებს, აღნიშნული საკითხები შეესწავლათ, დაფიქრებულიყვნენ და ემსჯელათ მათზე. გარდა ამისა, რიგ



ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2009):
"საერთაშორისო კონფერენცია", თბილისი



ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2009):
"საერთაშორისო კონფერენცია", თბილისი

სოფლებსა და დასახლებებს ადრე არასდროს სწვევია განვითარების რომელიმე პროექტი, ბევრი მონაწილისათვის ეს საგანმანათლებლო შეხვედრები ამა თუ იმ საჯარო საქმიანობაში ჩართვის პირველი გამოცდილება აღმოჩნდა.

**საზაფხულო სკოლამ**, რომელიც პროექტის ფარგლებში მოეწყო, აჩვენა, რომ ქალები და ახალგაზრდები ძლიერ მოწადინებულნი არიან, წამოიწყონ და წარადგინონ საკუთარი პროექტები. მათ მიეცათ შესაძლებლობა, ესწავლათ, როგორ ჩამოაყალიბონ, დაგეგმონ და განახორციელონ მათთვის საინტერესო ინიციატივები.

რეგიონალური ლიდერებისთვის მოწყობილი საზაფხულო სკოლის ერთ-ერთი წყალტუბოელ მონაწილეზე, ქალბატონ ლალი გრიგოლავაზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პროექტმა, რომ გადაწყვიტა საკუთარი ორგანიზაცია „წყალტუბოს დევნილ ქალთა კავშირი" დაეარსებინა. ეს იდეა გაჩნდა წყალტუბოში ჩატარებული ტრენინგის დროს, რომელსაც ამ რეგიონის მცხოვრები დევნილი ქალები ესწრებოდნენ. ტრენინგების ეს სესია ქალთა ინიციატივათა მხარდაჭერას და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად მათ წაქეზებას ისახავდა მიზნად. პროექტის ამ ნაწილმა დევნილი ქალების იმგვარი დაინტერესება გამოიწვია, რომ ქალბატონი ლალი ამ ინიციატივისთვის უფრო კონკრეტული და ორგანიზებული ფორმის მიცემაზე დაფიქრდა. საზაფხულო სკოლის სემინარებზე შეძენილმა უნარებმა იგი დაარწმუნა, რომ შეძლებდა ჩამოეყალიბებინა ორგანიზაცია და წამოეწყო პროექტები, რომლებიც წყალტუბოელი დევნილი ქალების წინაშე მდგარ პრობლემების გადაჭრას მოემსახურებოდა (გრიგოლავა 2009). ორგანიზაციის მიზანია, დაეხმაროს წყალტუბოს რაიონში დამკვიდრებულ იძულებით გადაადგილებულ პირებს და ამ დახმარები-

სას აქცენტი გენდერულ პრობლემებზე დასვას. გარდა ამისა, „წყალტუბოელ დევნილ ქალთა კავშირის" გუნდს პროექტის „სამოქალაქო ინიციატივა თანასწორი მონაწილეობისთვის" დებატები მათი რაიონისთვის მეტად საჭირო ინიციატივად მიაჩნიათ და გეგმავენ, წყალტუბოში მსგავსი დებატები მუდმივმოქმედი გახადონ. ორგანიზაციამ უკვე მიიღო ფინანსური მხარდაჭერა ბრიტანული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „რესურსების შეთანხმებისგან" და ადგილობრივ მუნიციპალიტეტისაგან. დაგეგმილია რაიონში დევნილთა რამდენიმე დაზიანებული დროებითი საცხოვრებლის შეკეთების დაფინანსება. ორგანიზაცია აგრეთვე აპირებს, შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც, ძირითადად, ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და სხვა სახელისუფლებო ორგანიზაციებთან იმუშავებს — კოორდინირებას გაუწევს დევნილთა განსახლებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ადგილობრივი მუნიციპალიტეტისაგან გამოითხოვს საჯარო ინფორმაციას ადგილობრივი თუ დევნილი მოსახლეობისთვის საინტერესო თემებზე (გრიგოლავა 2009).

**კონფერენცია** „საქართველოში გენდერული თანასწორობის საჭიროებათა პასუხად" იძლეოდა როგორც აზრთა ურთიერთგაცვლის საშუალებას, ასევე ცოდნისა და ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობას. ამ ურთიერთობის შედეგად ხელისუფლების, საერთაშორისო თუ ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები უკეთ გაეცნენ გენდერულ საკითხებს. ამგვარი გახსნილობის შედეგად დაგროვდა მნიშვნელოვანი იდეები და წამოიჭრა რამდენიმე საინტერესო ინიციატივა:

**ხელი შეეწყოს** საქართველოს დემოკრატიზაციას მოქალაქეთა (განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების, დევნილების და ქალების) პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის გაძლიერების გზით, და არა მხოლოდ არჩევნების პერიოდში; წამოწყებულ იქნას დამატებითი პროექტები, რომლებიც მსგავს პრობლემებზე იქნება ორინტირებული, შედეგად გააძლიერდეს პროექტი „სამოქალაქო ინიციატივა თანასწორი მონაწილეობისთვის" ინიციატივები.

**ხელი შეეწყოს** ადგილობრივ ქალთა საბჭოების შექმნას, რაც პოლიტიკური პარტიების და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ყურადღებას მიაპყრობს გენდერულ პრობლემებზე და ხელს შეუწყობს ქალთა ჩართვას საკადრო და საფინანსო რესურსების მართვაში.

**დაწინაურდნენ** ქალები აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო შტოებში.

**დახმარება გაეწიოს** ქალთა ბიზნეს-ინიციატივებს მიკროფინანსური პროექტების მეშვეობით. კონფერენციის მსვლელობისას მოთხრობილი იყო რამდენიმე წარმატებული მიკროდაფინანსების შესახებ. გამოცდილებაც აჩვენებს — როდესაც ქალებს ეძლევათ შესაძლებლობა, შეისწავლონ მართვის საბაზისო ხერხები და მიიღონ სესხი ბიზნეს-იდეის განსახორციელებლად, ისინი უმეტესად წარმატებით ართმევენ თავს წამოწყებას.
მოიმატოს პროექტების ურთიერთობის, თანამშრომლობის და გამჭვირვალობის ხარისხმა, რათა მათ უკეთ უპასუხონ გენდერული თანასწორობის საჭიროებებს.

**ხელი შეეწყოს** მიმდინარე პროექტების საჯაროობას ელექტრონული გვერდის http://www.ginsc.net/home.php?option=allnews&mode=1&lang=en, დახმარებით, იმისათვის, რომ პროექტები უკეთ იყოს ერთმანეთთან შეთანხმებული და და მოხერხდეს გამოცდილების გაზიარება.

**ხელი შეეწყოს** გენდერულ თანასწორობაზე დაფუძნებულ განათლებას დაწყებით სკოლებში და ამაღლდეს მასწავლებელთა კომპეტენცია ამ საკითხთან დაკავშირებით. საჯარო სკოლის მონაწილეობა გენდერული თანასწორობის ფორმირების პროცესში უმნიშვნელოვანეს წინაპირობად იქნა აღიარებული.

**ხელი შეეწყოს** აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, აგრეთვე — რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირების ინტეგრაციას. საყოველთაოდ იქნა აღიარებული: მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით მწვავეა რუსეთ-საქართველოს ომის დროს დევნილთა დახმარების აუცილებლობა, განვითარების პროექტები უნდა მოერიდოს 90-იანი წლების კონფლიქტების და უფრო მოგვიანებით მომხდარი მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა დიფერენციაციას. ამ საკითხის უგულვებელყოფამ, შესაძლოა, სავალალო შედეგები გამოიღოს.

**მოიმატოს** მამაკაცთა მონაწილეობამ ზემოთ აღნიშნულ ინიციატივებსა და გენდერული თანასწორობის პროგრამებში. ეს ინიციატივა წარმოადგინა ბატონმა მიხეილ თოქმაზიშვილმა.

აზრთა და გამოცდილების გაზიარებისთვის პლატფორმის მომზადების გარდა, კონფერენციამ ხელი შეუწყო განვითარების საკითხებზე ქალაქად და სოფლად მომუშავე ადამიანებს შორის კავშირების დამყარებას. მონაწილეები რაიონებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციების და გენდერზე მომუშავე სხვა საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლები უჩიოდნენ დედაქალაქელ თანამოაზრეებთან ურთიერთობის ნაკლებობას. ამის გათვალისწინებით, გავრცელდა კონფერენციის მონაწილეთა საკონ-

ტაქტო ინფორმაცია. დაინტერესებულ პირს შეუძლია, აგრეთვე მოიძიოს რეგიონალური პროექტების კოორდინატორთა და აქტიურ მონაწილეთა საკონტაქტო ინფორმაცია წინამდებარე გამოცემაში (იხ. დანართი 1).

კონფერენციაზე ბევრი საინტერესო სიტყვა წარმოითქვა. ქალბატონმა ლელა გაფრინდაშვილმა (2009) თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას და საზოგადოებას მოუთხრო საქართველოში ფემინისტური მოძრაობის ისტორია, ამასთან დაკავშირებით მოიყვანა ციტატა ქალბატონ კატო მიქელაძის მიერ ეკატერინე გაბაშვილისთვის 1918 წელს გაგზავნილი წერილიდან.


"ვერავითარი ზემოდან ბოძებული უფლება ჩვენ ვერ გვიხსნის, თუ თვით ქალები არ მოვინდომებთ ჩვენი ადამიანური პიროვნების აღდგენას. გადახედეთ ჩვენს უბადრუკ ცხოვრებას, თუ რა ცოტა სჭირდებათ მამაკაცებს სახელისა და ავტორიტეტის მოსაპოვებლად და რა დიდი შრომა და ტანჯვა - ქალებს, რომ უბრალო ყურადღება მიიქციონ. ჩვენ უნდა შევქმნათ ატმოსფერო ქალთა შემოქმედური ძალთა და აქტიურობის ასაღორძინებლად და ეს მოხდება მაშინ, როცა ქალები დაისწავლიან საკუთარი თავისა და ურთიერთ პატივისცემას, რომელსაც მისცემს მათ საზოგადოებრივი ცხოვრება. ის, ვინც დღეს იძახის "სწორუფლებიანნი ვართ"-ო , მას არასოდეს განუცდია სულიერი ტანჯვა თავისი უფლებო მდგომარეობის გამო.. ჩვენ უნდა შევქმნათ ნამდვილი სულიერი კავშირი, რომ არავითარმა წინააღმდეგობამ არ შეგვაშინოს და არ გაგვაცალკაოს. საჭირო არ არის სიმრავლე რიცხვისა. ძალა ერთობაშია და არა - რიცხვში..."

კატო მიქელაძე

ზემოთ აღწერილი გახლავთ ის საქმიანობა, რასაც კონკრეტული და გაზომვადი შედეგები მოჰყვა. მათგან განსხვავებით, დებატებსა და მრგვალი მაგიდის შეხვედრებს, რაც პროექტის ფინალურ ეტაპებზე განხორციელდა, ვერ ექნებოდა მონაწილეებზე  თვალსაჩინო გავლენა; მიუხედავად ამისა, მათ იმდენად ცხოველი ინტერესი აღძრეს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში, რომ რეგიონალურმა ორგანიზაციებმა თხოვნით მიმართეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდს, მომავალ წელსაც განაგრძოს მსგავსი საქმიანობა.

# ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

პროექტის „სამოქალაქო ინიციატივა თანასწორი მონაწილეობისთვის“ უმთავრესი მიზანი გახლდათ, წვლილი შეეტანა საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესში, მოქალაქეთა წაქეზებით მონაწილეობის მიღებაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში და განსაკუთრებით, ქვეყანაში მიმდინარე არჩევნებში. პროექტი ფოკუსირებული იყო ქართული საზოგადოების ყველაზე უფრო მარგინალიზებულ სექტორზე, ისეთი როგორებიც არიან ეთნიკური უმცირესობები (აზერბაიჯანელები და სომხები), დევნილები და ქალები. მიზნობრივი ჯგუფის ინფორმირებულების ამაღლება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის საკითხებზე ხელს უწყობდა მოსახლეობის ჩართვას საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პროექტის ფარგლებში ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი თანამშრომლობდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ხელისუფლების წარმომადგენლებთან, პოლიტიკურ პარტიებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ზემოთხსენებული მიზნობრივი ჯგუფების ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში და საზოგადოებისთვის ამ ჯგუფების წინაშე მდგარი სიძნელეების გაცნობა. პროექტში ჩართული იყვნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიც, რითაც მიეცათ შესაძლებლობა, არა მხოლოდ გაეუმჯობესებინათ საკუთარი შიდა კომპეტენცია, არამედ წაექეზებინათ მთავრობაც, სამოქალაქო საზოგადოებასთან სხვადასხვა საკითხებზე მჭიდროდ ეთანამშრომლა.

ორიენტირება რეგიონების განვითარებაზე და სამუშაო ჯგუფების ქსელის ჩამოყალიბება მთელი ქვეყნის მაშტაბით პროექტის დიდი წარმატებაა. დიდი ძალისხმევა მოხმარდა პროექტის საქმიანობათა ადგილობრივ კონტექსტთან შეთანხმების უზრუნველყოფას, რის შედეგადაც ადგილობრივი რესურსები გახდა პროექტის მდგრადობის გარანტი. პროექტის მდგრადობა დამატებით უზრუნველყო ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მიერ პროგრამის ნაწილების ადგილობრივი შემსრულებლებისათვის გადაცემამ. ინიციატივის განხორციელებაში მონაწილე სამი პარტნიორი ორგანიზაციის გარდა,

პროექტში ჩართული იყო რაიონული ორგანიზაციები და ადგილობრივად მომზადებული თანამშრომლები. ეს სტრატეგია გამოყენებული იყო იმისათვის, რომ ადგილობრივებს გასჩენოდათ პროექტის მიმართ კუთვნილების განცდა, აგრეთვე განვითარებულიყო რეგიონალური რესურსები და ადგილობრივ კადრების უნარები იმ იმედით, რომ პროექტის ინიციატივები მომავალში დამოუკიდებლად განხორციელებას ჰპოვებდნენ. ამას გარდა, რაიონის მცხოვრებლები, უფრო იოლად ერთვებიან დიალოგში ადგილობრივ ტრენერებთან, რაც აქტიობების შედეგებს ზრდის. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ეთნიკური უმცირესობებთან შეხვედრების დროს, სადაც ადგილობრივად მომზადებული თანამშრომლების ჩართვა გადამწყვეტ როლს თამაშობდა ენის და საერთო კულტურული თუ ტრადიციული ღირებულებების გამო.

დახმარება ყველაზე ეფექტური მაშინაა, როდესაც პროცესებში ჩართულია მიმღები ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოებაც და კერძო სექტორიც (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია 2005:3). ამიტომაც, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი შეეცადა, ყველა შესაძლებელ შემთხვევაში განვითარების პროცესის მართვის სადავეები მიმღები რეგიონებისთვის გადაეცა და თავად მხოლოდ პროექტის აქტიობების მართვაში დახმარების, დაგეგმვის და მონიტორინგის უფლება შეენარჩუნებინა. ამან შესაძლებელი გახადა, პროექტს ყველაზე უფრო მარგინალიზებულ ჯგუფებამდეც მიეღწია და მაქსიმალურად ანგარიშვალდებული გაეხადა საქართველოს მოქალაქეთა წინაშე. ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „სამოქალაქო ინიციატივა თანასწორი მონაწილეობისთვის“, რომელიც მთლიანად რეგიონებზე იყო ორიენტირებული და რეგიონებში მიმდინარეობდა; თანაც, ის ადგილობრივ რესურსებზე დაფუძნდა, ნაცვლად იმისა, რომ თბილისიდან ყოფილიყო მართული. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდმა ამ პროექტით კიდევ ერთხელ ცხადყო, რეგიონებში, ადგილობრივი მოსახლეების მხარდამხარ მუშაობის მნიშვნელოვნება. ფონდი შემდგომშიც ითანამშრომლებს პროექტის პარტნიორებთან და მონაწილეებთან და განაგრძობს პროექტის იმ კომპონენტების განხორციელებას, რომელთაც დიდი გამოხმაურება ჰქონდათ.

გრიგოლავა, ლალი (პროექტის მონაწილე) ინტერვიუს ჩანაწერი, 20 ნოემბერი, 2009

დამენია, მარინე (2008): "სასურველია მეტი ქალი მოვიდეს პოლიტიკაში", სამეგრელოს ქრონიკა, 3, მაისი

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (2005/2008): პარიზის დეკლარაცია დახმარების ეფექტურობაზე და აკრას სამოქმედო დღის წესრიგზე, http://www.oecd.org/document/18/0,3343,en_2649_3236398_35401554_1_1_1_1,00.html, 2009-11-27

მამედოვა, კამილა (ტრენინგი ტრენერთათვის პროგრამის მონაწილე) ინტერვიუს ჩანაწერი, 17 ნოემბერი 2009

ტრაპაიძე, ქეთი (2008):"ქალი და მამაკაცი ერთნაირი უფლებებით უნდა სარებლობდნენ", გურია- NEWS, 21 აპრილი

ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი (2009): დასკვნითი ანგარიში 2007-2009: ამომრჩეველთა განათლება და ჟურნალისტთა სატრეინინგო პროგრამა

ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი (2008): ტელე და ბეჭდვითი მედიის მონიტორინგი: საპარლამენტო არჩევნები 2008, დეკემბერი

ყარალაშვილი, ნინო (2008): "ლტოლვილთა გარკვეულმა ნაწილმა არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღო", ახალი რუსთავი, 25 აგვისტო

ჩინიჟიშვილი, მაკა(2008): "დევნილთა მოლოდინი არჩევნებიდან არჩევნებამდე", პოსტსკრიპტუმი 15, 21-27 აპრილი

ჩივერს, ს. ჯ. (2009): "ალყაში მყოფი საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს არჩევნებს", ნიუ იორკ თაიმს, 9 ნოემბერი

ჭაბაშვილი, ნინო (2008): "უმოწმობოდ დაბადებულნი", 24 საათი, 27 მარტი

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (1997): მისიის ხედვა, http://www.boell.de/foundation/about-us-2188.html, 2009-11-9.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2009): გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება საქართველოში საქართველოში, ქ-ნი ლელა გაფრინდაშვილის სიტყვა, საკონფერენციო მასალები

------ (2008): "რით განსხვავდება ევროპელი და ქართველი ქალი ერთმანეთისაგან?", კახეთის ხმა, 29 ივლისი

## ადგილობრივი თემების უნარების და ნდობის ფორმირება

### სამცხე-ჯავახეთი

#### ახალქალაქი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლელა ჭინჭარაული | 899 569848 | lelatchin@yahoo.com | ქართული სკოლის დირექტორი, რეგიონალური კოორდინატორი |
| ჯენარა პეტროსიანი | 895 532508 | jenji@mail.ru | რეგიონალური ტრენერი |
| ნინო მაცუკატოვი | 895 956291 | | მასწავლებელი |
| ლარისა კაროიანი | 893 734959 | | რუსული სკოლის დირექტორი |
| მაია არმაუძ | 899 116333 | | მონაწილე |
| ირინა ალელიშვილი | 893 474941 | | მასწავლებელი |

#### ახალციხე

| | | | |
|---|---|---|---|
| გია ანდღულაძე | 899 54 02 91 | gandguladze@gmail.com | დემოკრატ-მესხთა კავშირი რეგიონალური კოორდინატორი |
| გულიკო ბექაური | 899 193334 | bguliko@mail.ru | ქალთა რეგიონალური ცენტრი |
| ხატია ჯაშიაშვილი | 899 928907 | | საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია |
| ხათუნა ხმალაძე | 899 177211 | khatuna.9779@yahoo.com | გარემოს დაცვის რეგიონალური სამმართველო |

### ქვემო ქართლი

#### ბოლნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| მარინა ბჟალავა | 893 123893 | Mbjalava@mail.ru | ასოციაცია "ქალი და სამყარო" |

#### მარნეული

| | | | |
|---|---|---|---|
| კამილა მამედოვა | 899 178029 | | ახალგაზრდა დემოკრატთა კავშირი “მომავალი” |

### შიდა ქართლი

#### გორი

| | | | |
|---|---|---|---|
| მარინე მღებრიშვილი | 899 534035 | contact@biliki.ge | საზოგადოება “ბილიკი” |

## აჭარა

### ბათუმი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნინო გაბუნია | 893 257040 | womenprogress@yahoo.com | კავშირი “პროგრესი” რეგიონალური კოორდინატორი |
| შოთა მახარაძე | 899 752062 | shota.m@mail.ru | სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი “თანადგომა” |
| ნათია ხარატი | 899 502512 | | სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი “თანადგომა” |

## სამეგრელო

### ზუგდიდი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხათუნა ბეჭვაია | 899 966744 | tanaziari@hotmail.com | რეაბილიტაციისა და გნავი-თარების საქველმოქმედო ცნეტრი “თანაზიარი” |
| ნანა თოდუა | 877 446444 | nanatodua@gmail.com | ასოციაცია მერკური |

## იმერეთი

### ქუთაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| თამრიკო ელბაქიძე | 893 151335 | tamrielb@gol.ge | ფონდი "აფხაზინტერკონტი" რეგიონალური კოორდინატორი |
| მარიანა ლოთიაშვილი | 871 557177 | m.lotiashvili@mail.ru | კავშირი ქალების სოციალური განახლებისთვის |
| ესმა ნაჭყებია | 893 718361 | e_nachkebia@yahoo.com | კლუბი “ჩვენი ხედვა” |
| ხათუნა ბუცხრიკიძე | 893 521900 | xatuna_b@mail.ru | ასოციაცია საჩინო |
| თამთა ბასილაძე | 893 167671 | tamta_esd@yahoo.com | მერიის ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური |

### წყალტუბო

| | | | |
|---|---|---|---|
| ლალი გრიგოლავა | 899 712674 | l.grigolava@mail.ru | "დევნილ ქალთა კავშირი" |
| ლელა ჟორჟოლიანი | 899 456871 | | |
| ლიანა აბულაძე | 899 188479 | | |

## ჟურნალისტების ტრენინგის პროგრამა

### თბილისი

| | | | |
|---|---|---|---|
| თამუნა ხომერიკი | 893 511191 | Khomeriki_tamuna@yahoo.com | რადიო "მწვანე ტალღა" |
| ნინო კორძაია | 877 500946 | Axali_rustavi@yahoo.com | საინფორმაციო სამსახური ტელეკომპანია "მზე", ქვემო ქართლის კორესპოდენტი |

## სამცხე-ჯავახეთი

### ახალციხე

| | | | |
|---|---|---|---|
| ოთარ მაჭარაშვილი | 8 99 68 67 66 | lion-king-otari@rambler.ru | დამოუკიდებელი ჟურნალისტი |
| გვანცა გოგოლაძე | 8 55 63 12 44 | | მესხეთის ექსპრესი |
| ნათია ნებიერიძე | 8 98 53 62 53 | gvirila2@rambler.ru | სამხრეთის კარიბჭე |
| გულო კოხოძე | 8 93 10 41 70 | guloge@rambler.ru | სამხრეთის კარიბჭე |
| ეკატერინე ბერიძე | 8 99 51 38 74 | tv_eka@mail.ru | ელეკომპანია იმპერია |

### ნინოწმინდა

| | | | |
|---|---|---|---|
| ანნა მღდესიანი | 899-48-96-97 | anjutka-m@rambler.ru | ნინოწმინდის სათემო რადიო |
| კარინა ღარსლიანი | 895-56-41-74 | kara-2286@mail.ru | ნინოწმინდის სათემო რადიო |
| ხანუმ ხაჩატრიან | 8 95 73 04 63 | | ნინოწმინდის სათემო რადიო |

## ქვემო ქართლი

### ბოლნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| მარიკა წიქორიძე | 8 93 68 42 22 | mariko78@mail.ru | ტაიმერი |

### დმანისი

| | | | |
|---|---|---|---|
| თეა ჩხეტიანი | 898 510766 | chocho_83@mail.ru | გაზეთი "ტაიმერი'' |

### მარნეული

| | | | |
|---|---|---|---|
| ეივაზ გახრანიანი | 893 69 0196 | eivaz-g@yandex.ru | გაზეთი "ტაიმერი'' |

### რუსთავი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაია ოტიაშვილი | 8 95 51 97 55 | m.otiashvili@mail.ru | ტაიმერი |
| თეა გიგაური | 8 93 20 81 84 | Tamo8888@mail.ru | ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია "IV არხი" |
| თამარ კვანტალიანი | 8 93 32 62 57 | tamokvantaliani@mail.ru | გაზეთი "ახალი რუსთავი" |

## ამომრჩეველთა განათლების პროგრამა

### სამცხე-ჯავახეთი

#### ახალციხე

| | |
|---|---|
| ეკა აბაშიძე | 899 90 27 41 |
| ნელი ლომიძე | 893 51 38 61 |
| ანა ხაჩატურიანი | 855 60 68 02 |
| ზარინე საპონჯიანი | 893 12 00 35 |
| გაიანე საპონჯიანი | 855 20 33 14 |

#### ახალქალაქი

| | |
|---|---|
| მარიკა ვახტანგისშვილი | 855 64 80 33 |
| ჯენერა პეტროსიანი | 895 53 25 08 |
| ნაზელი დემურჩიანი | 899 11 72 68 |

#### ნინოწმინდა

| | |
|---|---|
| ნარინე გინოსიანი | 899 54 91 15 |
| ჯულიეტა ვარდანიანი | 855 49 13 27 |

### ქვემო ქართლი

#### გარდაბანი

| | |
|---|---|
| ქერიმოვი ნანა | 893 10 45 44 |
| ზახრაბოვი ქრისტინა | 855 33 43 44 |
| იბრაგიმოვა მაიკო | 855 54 85 58 |
| საბინა ბაირამოვა | 858 53 03 23 |
| ლია დარსაველიძე-ნასიბოვა | 893 12 86 55 |
| რუნარ გუსეინოვი | 897 00 02 13 |
| ულვი მუსაევა | 895 37 89 09 |
| კაროლინა კოჩოვა | 899 45 42 14 |

#### მარნეული

| | |
|---|---|
| ომარ მურადასილოვი | 893 97 17 23 |
| მამედოვა კამილა | 899 17 80 29 |
| მარინა სააკიანი | 895 79 58 99 |